ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N73
გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **02 თებერვალი 2023 წ.**

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს #4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESDE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **მაია ომიაძის** სახით და **სსიპ ''ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი''** (მის:გორი, სტალინის გამზირი #32 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ.კ. TRESGE22 ა.ა. 708577212; ს.კ. 217890290) შემდგომში წოდებული ''მიმწოდებლად'', წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლიანა ოქროპირიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ''მხარეები'', ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მუზეუმის მომსახურება

(CPV 92521000)

ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **500.00** (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს;**

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

2.4. მომსახურების გაწევის ვადაა: **მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, დანართი N1-ის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.**

1.1. მომსახურების გაწევის ადგილია: გორი.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებს: **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საქართველოს**

საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს უფროსი ლევან ჯაფარიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი ეკატერინე ყოლბაია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საერთასორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ვახტანგ კურცხალია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვზიანი მომასხურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

5.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს უფროსი ლევან ჯაფარიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი ეკატერინე ყოლბაია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი; ან საერთასორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ვახტანგ კურცხალია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი**

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული 0%-იანი ფასდაკლების გათვალისწინებით. ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს **2023 წლის 31 დეკემბრისა.**

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ს/კ - 204578206

მიმწოდებელი
სსიპ ''ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი''

მისამართი: გორი, სტალინის გამზირი #32
ტელეფონი: 598 26 83 60
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ.კ. TRESGE22 ა.ა. 708577212
ს.კ. 217890290

ხელმძღვანელი

მაია ომიაძე

დირექტორი

ლიანა ოქროპირიძე

Maia Omiadze

Digitally signed by Maia Omiadze
Date: 2023.02.02 16:09:26

N	მომსახურების დასახელება	ვიზიტორი	ერთეულის ფასი
1	სამუზეუმო მომსახურება	1	10.00 ლ

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ს/კ - 204578206

მიმწოდებელი
სსიპ ''ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი''

მისამართი: გორი, სტალინის გამზირი #32
ტელეფონი: 598 26 83 60
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ.კ. TRESGE22 ა.ა. 708577212
ს.კ. 217890290

ხელმძღვანელი

მაია ომიაძე

დირექტორი

ლიანა ოქროპირიძე

Liana Okropiridze

Digitally signed by Liana Okropiridze
Date: 2023.02.02 16:33:10 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მუზეუმის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2023 წლის 02 თებერვლის N73** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი მაია ომიაძე

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი მარინა ბოჯგუა